რედაქცია
სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველ კლასიკურ გიმნაზიის უკან.
ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»
«დროების» ფასი
მთელის წლისა . . 9 მან. | სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. | ერთის თვისა . . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა
სტრიქონზე რვა კაპ. განცხადებებს მიიღებს ქართულს რუსულს და სხვა ენებზე.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.
ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

მიიღება ხელის-მოწერა გაზეთ

„დროებაზედ"

პირველის ოკტომბრიდამ წლის დამლევამდე. ფასი სამი მანათი.

სოფლის მასწავლებლებისათვის ორი მანათი.

«დროების» ნომრები თითო შაურად იყიდება, თბილისს გარდა:

ქუთაისში, ჭილაძის მაღაზიაში,

ბათუმში, ფეიქაროვის თამბაქოს მაღაზიაში,

დუშეთში, გაბო ბაშაროვთან.

გორში, საზოგადოების დეპოში, ალალო თუთაევთან.

აქვე მიიღება ხელის-მოწერა.

## ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

29 სექტემბერს.

პეტერბურგი. წრეულ გენერალურ შტაბის აკადემიაში მიიღებენ 122 ოფიცერს.

ზღვის უწყების ხარჯი 1884 წელში შეადგენს 38,451,799 მანეთს, შარშანდელზე 8,263,215 მანეთით მომატებულს.

გაზეთები იუწყებიან, რომ მომავალი 1884 წლის იანვრიდგან ფინანსთა სამინისტრო გამოსცემს გაზეთს, რომელსაც საგნად ექნება რუსეთის ვაჭრობა და მრეწველობა.

კაირი. სახალხოდ გამოცხადდა ხედივის ბრძანება ამნისტიის შესახებ.

მოგილევ-პოდოლსკი. აქაურს ქალაქის გამგეობაში აღმოაჩინეს ბოროტ-მოქმედება ჯარის მოკრების საქმეში; ამ ბოროტ-მოქმედებაში ურევია რამოდენიმე პირი, რომელთაც ყალბი მოწმობები გაუკეთებიათ ებრაელებისათვის, რომელთაც ჯარში გაყვანის თავიდამ აცილება სურდათ.

ირკუტსკი. აქ თბილი და ხმელი ტაროსია; დღეს ჩრდილში 16 გრადუსი სითბოა; 27 სექტემბერს ცოტა მიწის ძვრა იყო.

მადრიდი. სამინისტრომ სამსახურიდამ დათხოვნის ქაღალდი შეიტანა.

პარიჟი. ის ხმები, ვითომც ესპანიამ საფრანგეთის მმართებლობას ნოტა უნდა მისწეროსო მეფე ალფონსის შეურაცხების გამო, ტყუილი გამოდგა; საქმე იმით გათავდა, რომ ესპანიის ელჩმა და ფერიმ ერთმანეთში მოილაპარაკეს ამ საქმის თაობაზე.

სოფია. სახალხო კრებაში შემოსვლის დროს, მინისტრს ნაჩევიჩს ერთმა ვიღაცა უცნობმა რევოლვერი ესროლა, მაგრამ ააცდინა.

30 სექტემბერს.

პეტერბურგი. სახელმწიფო ქონებათა მინისტრმა წარუდგინა სახელმწიფო რჩევას პროექტი ტყის კეთების წახალისების შესახებ.

მიწის წარმოების და სასოფლო მრეწველობის დეპარტამენტის ცნობით, წრეულ შარშანდელზე ნაკლები პურის მოსავალი ყოფილა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში. ოსტ-ინდიას 90 მილიონ ფუთამდე პური აქვს სამზღვარ გარეთ გასატანად. ეგვიპტეში 20%-ით მეტს ანგარიშობენ პურის მოსავალს.

ლადოგის ტბაში წინა დღეებში გრიგალი—ქარი იყო და ფილიანდის ნაპირის ახლო 80-ზე მეტი ნავი დაღუპა; დამხრჩვალი კაცების რიცხვი ბლომად არის; ერთს ადგილას ნაპირზე გამოაგდო 16 დამხრჩვალი.

კოპენჰაგენი. მათს იმპერატორებითს დიდებულებათა კოპენჰაგენიდამ აცილებს პრინცი ვოლდემარი.

პეტერბური. მმართებლობითი სენატის კასაციის დეპარტამენტმა პერფილიევს გადაუწყვიტა: გამოირიცხოს სამსახურიდგან და გადახდეს 15000 მანეთი სამჯავროს ხარჯი.

მოსკოვი. დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის-ძე შვილებითურთ წავიდა პეტერბურგში.

ვენა. ავსტრიის იმპერატორმა დანიშნა ელინთა მეფე 99 პოლკის შეფად.

ბუხარესტ. იუსტიციის მინისტრმა სტატესკუმ სამსახურს თავი დაანება.

სოფია. გამოცხადებულია ამნისტია ყოველ გვარ პოლიტიკურთა დანაშაულობათა, რომელნიც კონსტიტუციის აღდგენამდინ მომხდარან; ამასთანავე განკარგულება არის, რომ იმ ოლქებში, სადაც მაჰმადიანი მცხოვრებნი მომეტებულნი არიან, ოლქის სასამართლოებში მაჰმადიანები ინიშნებოდენ წევრებად.

1 ოქტომბერს.

პეტერბურგი. დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის-ძე მეუღლით და შვილებით მიხეილით და ალექსანდრე მიხეილის ძეებითურთ მოვიდა გუშინ ყირიმიდამ პეტერბურგში.

«ნოვოე ვრემია» ამტკიცებს, რომ სახელმწიფო ქონებათა მინისტრი იმიტომ მიდის კავკასიაში, რომ ამ ქვეყნის სახელმწიფო ქონებათა გამგეობა სამინისტროს უწყებას შეუერთოს.

ირკუტსკი. დღეს მზეზე $27^{3}/_{15}$% სითბოა.

ტაშკენტი. პეგნანის გარდა ავგანელებმა დაიპყრეს კიდევ შუგანის მეზობელი მხარე ვახანი, რომლის მფლობელმაც მრავალი ხალხით, სარჩო-საბადებლით და საქონლით დაცალა მხარე და გაიქცა, რადგანაც ავგანელების თავდასხმისა ეშინოდა.

ბათომი. მოსკოვისა და ბაქოს შუა დაიწყო საქონლის პირ დაპირ გადატან-გადმოტანა როდოკონაკის ცეცხლის გემებითა.

პორტების სამუშაო საქმეების გადასაწყვეტლად მოვიდენ აქ ადმირალნი პეშჩუროვი და გიკაჩევი და 5 ოქტომბერს ზღვის და გზათა მინისტრები მოვლენ.

კანტონი. ფრანცუზებისგან დაშინილმა ზარბაზნებმა ვაჭრობას ვნება მოუტანეს.

მადრიდი. დღეს ახალი კაბინეტი შესდგა პოსადი-გერერის თავმჯდომარეობით.

2 ოქტომბერს.

პეტერბური. რადგანაც შეუძლებელია საპყრობილეთა გარდასაკეთებლად ერთბაშად რვა მილიონის დანიშვნა, ამისათვის პროექტი სდგება იმის შესახებ, რომ ყოველ წლივ 600,000 მანეთი იხარჯებოდეს ახალი საპყრობილეების გასაკეთებლად და ამათთვის ადგილების ამორჩევა მიენდობა შინაურ საქმეთა სამინისტროს.

გაზეთები იუწყებიან, რომ ახალ დებულებას ტყის შემუსვრის შესახებ მიეცემა ძალა მომავალი წლიდგან მთელს ევროპის რუსეთში გარდა ფილანდიისა, კავკასიისა, პოლშის სამეფოისა, და არხანგელსკის, ვოლოგდის, ოლონეცის, ნოვგოროდის, პერმის, ვიატსკის, კოსტრომსკის, ნიჟეგოროდის და ყაზანის გუბერნიათა.

სამხედრო სამჯავროს მთავარი მმართველობა არღვევს «ნოვოე ვრემიას» ცნობას შესახებ სამხედრო სისხლის სამართლის წარმოების პროექტისა; კომისიის სხდომანი გადაიდვნენ მხოლოდ იმ დრომდის, ვიდრე პროექტი დაიბეჭდება და კომისიის წევრნი ვრცლად შეისწავლიან მას.

პარიჟი. გაზეთები გვატყობინებენ ანამთან პირობის—შეკრულებას: საფრანგეთს ენიჭება უფლება მფარველობისა და გარეშე საქმეთა გამგეობა; ბინტუანის პროვინციები კონხინხინს უნდა შეუერთდეს; საფრანგეთის ჯარების ხელში იქმნება გუეს სანაპირო სიმაგრენი; თურანის და სანტაის პორტები ხსნილი იქნება ხალხთა მორებრივ ვაჭრობისათვის; საფრანგეთის რეზიდენტთა, რომელნიც დიდრონს ადგილებში იმყოფებიან, უნდა ჰქონდეთ ზედამხედველობა შინაურს გამგეობაზე და გარდასახადთა მოკრებაზე და ამასთანავე ექმნებათ უფლება მანდარინების გამოცვლისა; ტამოჟნების გამგეობა მარტო ფრანცუზების ხელთ იქმნება; საფრანგეთი თავის მხრივ უნდა იცვავდეს მეფეს გარეშე და შინაური მტრებისაგან,ვალდებული ხდება აგრეთვე განდევნოს «შავნი დროშანი» და აძლიოს მეფეს ტამოჟნის და ტელეგრაფის შემოსავლის ნაწილი.

ლონდონი. პორტ-პრენსეში—გაიტის რესპუბლიკაში — ასტყდა რევოლიუცია; ქალაქი განიცარცვა; შენობათა ნახევარი შეიმუსრა ცეცხლისაგან და ყუმბარების სროლისაგან; ბევრი ხალხი დაიხოცა.

## შინაური ქრონიკა

გზათა მინისტრის მოსვლამ კავკასიაში აალაპარაკა საზოგადოება ზოგიერთ ჩვენს საჭიროებაზედ და მეტადრე კახეთისკენ რკინის გზის გაყვანაზედ. კვირას, 2-ს ოქტომბერს, მიწვეულნი იყვნენ გუბერნიის მარშალთან ზოგიერთნი თავად-აზნაურთაგანნი, მეტადრე კახელები და დუშეთის მაზრისანი, და ჰქონდათ მოლაპარაკება იმის თაობაზედ, რომ გზათა მინისტრს წარუდგინონ მოხსენება შემდეგს აუცილებელს საჭიროებაზედ: 1) რომ კახეთში უექველად გაკეთდეს შტო რკინის გზისა და ეს მშვენიერი მხარე დღევანდელსავით განცალკევებული არ დარჩეს, 2) რომ რკინის გზაზედ შემცირდეს ტარიფი, რადგან ეხლანდელის ტარიფის წყალობით ბევრი ნივთი ურმით ზიდვასა რჩე-

ობენ სოფლის ნაწარმოებისასა, ვიდრე რკინის გზითა და 3) გზა-ტკეცილის (შოსეს) ფული აღარ გადაჰხდეს საქონლისა და ცხვრის პატრონებს, როდესაც ერთის ადგილიდგან მეორეზე გზა-ტკეცილით საქონელი და ცხვარი გადაჰყავთ.

〰 ჩვენს მკითხველებს ეხსომებათ, რომ «კავკაზში» გამოდის სწორედ რიგიანი გაზეთი, სახელად «თერგი» (Терекъ). ამ გაზეთს დღემდის ცენზორი კავკავშივე ჰყავდა, მაგრამ ეხლა ცენზურა ამ გაზეთისა ტფილისში გადმოუტანიათ, ისე როგორც «შრომის» ცენზურა გადმოიტანეს, — განსხვავება მხოლოდ ეს არის, რომ «შრომა» კვირაში ერთხელ გამოდიოდა და «თერგი» კი კვირაში სამჯერ გამოდის და ქუთაისისკენ ზამთარში გზა მაინც არ იკვრება და კავკავიდამ ტფილისში გამოგზავნილი კორექტურის ფურცლები კი შეიძლება ხშირად ზვავ ქვეშ მოჰყვეს!

〰 სოფელს სუჯუნას კინაღამ ტისა-ესლარის საქმის მზგავსი ამბავი მომხდარა. ერთს კაცს ჰყოლია ექვსის წლის მუნჯი და მოუნდომნია თავიდამ მოშორება; გაუტანებია ავაზაკებისათვის დასაღრჩობად. ავაზაკებს ბავშვი ორი დღე კულაში ჰყოლიათ. ამ დროს გავარდნილა ხმა — ურიებმა ბავშვი აწვალესო და სუჯუნლები შესცვივნიან საბრალო ურიებს და მათი ცოლშვილი სულ აუწიოკებიათ. სუჯუნის ახლო მდებარებს სოფ. ეწერა. ამ სოფლელებსაც ნდომებიათ ურიების აკლება, მაგრამ მეორე დღეს ბავშვი უკანვე მოუყვანიათ და ურიები ამით გადარჩენილან. სუჯუნლები ჩამოსულან ქუთაისის გუბერნატორთან ამ უმზგავსო საქმის თაობაზედ საჩივლელად და სათხოვნელად, რომ შემდეგში მაინც ხალხი გააფთხილონ.

〰 ქუთაისიდამ გვწერენ: სწორედ იშვიათი რამ იყო ის მწუხარება, რომელიც აღმოუჩინა აქაურ კათოლიკეთა მრევლმა თავის სულიერ მამასა, იოანე ანტონოვსა, რომელიც იქმნა გადაყვანილი თავის მაღალ ღირსების გამო სარატოვში სასულიერო სემინარიის ინსპექტორათა.

ზუშინ გამოემშვიდობენ მას გიმნაზიაში და პროგიმნაზიაში მოსწავლე შეგირდები და დღეს სამრევლონი; ემშვიდებოდენ ეკლესიაში, ეკლესიის ეზოში, მონასტერში; ემშვიდებოდენ მას ცრემლითა და მწუხარებითა. რკინის გზის სტანცია სავსე იყო კათოლიკეებითა, რომელნიც შესცქეროდენ და გარს ეხვეოდენ სიყვარულით და მწუხარებით შორისკენ გამგზავრებულს თავიანთ სულიერს მამას.

დაიკრა წასვლის ზარები; ცრემლით დაუკოცნეს მას ხელები; ამ გამომშვიდების შემდგომ ბევრმა მოისურვა მისი გაცილება რიონის სტანციამდე. ძლივს მოასწრეს ბილეთების აღება; ვაგონები აივსო დაღონებული კაცებით და თვალ-ცრემლიანი ქალებითა. რიონის სტანციაზედ რომ მოვიდა ქალაქისკენ მიმავალი მატარებელი, შეგროვდა მრევლი ერთ განაპირზედ თავისუფალ ადგილს; მოვიდა მოძღვარი, შემოეხვივნენ მას გარშემო როგორც შვილები საყვარელ მშობელ მამასა; მოძღვარმა შეავედრა ღმერთსა თავის სამრევლო; მრევლი ატირდა და შეიქნა ერთი საზოგადო ცრემლის ღვრა... სტიროდენ მშობლები, რომ მათ შორდებათ თავიანთ შვილების კეთილად აღმზრდელი; სტიროდენ გაჭირებულნი და შეწუხებულნი, რომ მათ შორდებოდათ დიდი მოწყალე და დიდი ნუგეში... შესწუხდა მოძღვარიცა თავის მრევლის ამოდენის მწუხარებითა და აუტირდა მასაც სიყვარულით სავსე მამობრიული გული და შეიქმნა ერთი ისეთი საზოგადო ტირილი, რომ უცხო მაყურებელიც კი სწუხდებოდა მათის ყურებითა.—მოძღვარი შევიდა ვაგონში; დაიკრა მესამე ზარი; ერთი კიდევ გადმოხედა მან მწუხარებით თავის მრევლსა, ატირდა და ისე ატირებული გაიტაცა რკინის გზაზედ მატარებელმა...

დაღონებული მრევლი დაბრუნდა შინისკენა.

რით შეიძინა ამ მოძღვარმა ესოდენი სიყვარული თავის მრევლისა ხუთი-ექვსი წლის განმავალობაში?

მით რომ ის იყო ნამდვილი სამაგალითო სულიერი მამა თავის მრევლისა. ის იყო შემკული მრავალ გვარ ღირსებითა: იყო თავ-დადებული თავის სამრევლოს სულიერ მოსამსახურებისთვის; იყო უანგარო, დაუზარებელი, გულკეთილი და დიდი მშრომელი; იყო ენამეტყველი, შემბრალებელი და დიდი მანუგეშებელი გაჭირვებულთა; მას ჰქონდა შესრულებული სწავლა ჯერ აქაურ გიმნაზიაში და შემდგომ ამისა უმაღლეს სასულიერო სასწავლებელში, და, სწავლით შემკულ გონებით და სიყვარულით სავსე გულითა, მას ჰყავდა ისე მიზიდული ყმაწვილები, რომ ესენი ისე შესცქეროდენ მას, როგორც თავიანთ საყვარელ კეთილ მზრუნველსა და სულიერ მამასა.

აი ის ღირსებანი, რომელნიცა ჰხდიან მღვდელსა ჭეშმარიტ სულიერ მამათა და აი ცრემლი მთელის მრევლისა, რომელიც ამტკიცებდა მის ამ გვარ ღირსებათა.

〰 ამავე ღირსეულ მამაზედ იქიდამვე გვწერენ: უმთავრესი ღირსება დონ-იოანესი იყო მისი დაუზარებელი და დაუღალავი შრომა ყმაწვილების აღზდაში. კათოლიკე სკოლებმა მის წინამძღვრობაში მიიღეს ეროვნული სახე. დედა-ენას მიეცა სკოლებში ის მნიშვნელობა, რომელიც მას კანონიერად ეკუთვნის. მრევლი ცდილობდა მის დატოვებას ქუთაისში, მაგრამ ყოველივე მეცადინეობა ამაოდ დარჩა. ოთხი თხოვნა მრევლისა, რომელიც იყო გაგზავნილი ეპისკოპოსთან უპასუხოდ დასტოვეს. ჩვენი სურვილი დღეს მხოლოდ ის არის, რომ მისი მოადგილე შეუდგეს იმ მიმართულებას, რომელსაც ადგა პატივცემული დონ-იოანე. არა მხოლოდ ზნეობრივი განვითარება უნდა ჰქონდეს მას სახეში, არამედ თავის მრევლის აწმყო და მომავალიც.

〰 ბაქოდამ იწერებიან, რომ იქაც სასწავლებლები ძალიან ცოტაა და ხალხის მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებსო; ამიტომ კერძო რეალურ სასწავლებლის გახსნაზედ ლაპარაკობენო.

〰 რუსული გაზეთების სიტყვით, ამსტერდამის ხალხთა - შორებრივს გამოფენაზედ ოქროს მედლები მიუღიათ ტფილისელებს: პ. მაკაროვს და ზოძიევს ღვინოებისათვის და ბაქოელებს: ტაგიევს და ძმებს სარქისოვებს მინერალურ ზეთისათვის.

〰 როგორც ეტყობა მიშჩენკოს ამბავს უნაყოფოდ არ ჩაუვლია. გუმბრში მომხდარა სწორედ ამ გვარივე ამბავი: ერთს ოფიცერს მეორე მოუკლავს უეცრად რევოლვერის დახლით იმის გამო, რომ ჩხუბში დაეკრათ ერთმანეთისათვის და მკვლელს ვერ აეტანა ოფიცრის მუნდირის შეურაცხება.

〰 ჩვეულებრივ ქრონიკას ისე ვერ გავათავებთ, რომ რომელსამე მამასახლისზედ უკმაყოფილება არ გამოვაცხადოთ. დღეს ჯერი წყნეთზედ მიდგა. აი რასა გვწერს ერთი ალბად გულ-დამწვარი პირი იქაურ მამასახლისზედ:

«ჩვენი მტერიც ნუ ამყოფა ამ გვარ მოხელეების ხელში: კვირა არ გაივლის, რომ დავი-დარაბა არ ასტეხონ და შტრაფის ფულები ხან ცუდ-უბრალოზედ, ხან სამართლიანად წართმეული სადმე არ გააქანონ. ამ ჟამად ჩვენში ერთი გამოცდილი კაცი არ არის, რომ მათი ურიგო ქცევა საბრალო გლეხებს ჩააგონოს... მაშ ისევ ჩვენა ვკითხოთ: სად არის თქვენს მეტი შეუძლო კაცის სამ მანეთიანები, რომ კოდის გზის გაკეთებაზედ მარტო-ხელ კაცებს გამოართვა? ვის მისცა ანგარიში?—გვაცნობოს. აბრამა კახელისშვილს რომ ათი მანათი ჯარიმა წაართვა, რა კეთილ საქმეს მოახმარა? კონა ზლახას-ძე კახელი-შვილს შარშან და ეხლა რომ წაართვეს შვიდი მანათი და ათი შაური, რა უყვეს? ზიორგი ავციაურის თხუთმეტი მანათი ვის მისცეს? და სხვ. და სხვ. ბევრს ვიკითხავდი კიდევ, მაგრამ ტყუილად თავი რაზედ ავიტკივო, რომ ჯერ პირველის პასუხიც არ მიმიღია»!

〰 **1 ს ოქტომბერს დილით უეცრად გარდაიცვალა თბილისში ჩვენის ქალაქის თავად ნამყოფი თ. იაზონ თუმანიშვილი.**

〰 **ჩვენს ცხენის რკინის გზას მოცილე გამოუჩნდა. მალაკნებს გაუკეთებიათ სწორედ ამ ვაგონების მზგავსი ომნიბუსები, რომელნიც ქალაქში სხვა-და-სხვა მხარეს ივლიან, განსხვავება მხოლოდ ეს არის, რომ ამათ რელსები არ ეჭირებათ.**

## «დროების» კორესპონდენცია.

**თელავი.** წინააღმდეგ ტფილისისა და სხვა მის გვარ ქალაქებისა, ჩვენი თელავი მუდამ წელს ზამთრში არა-ჩვეულებრივ ცხოველდება. მიზეზი ამ გაცხოველებისა არის ჩვენი სწავლის მიმდევარ ახალგაზდობა, რომელიც მხოლოდ ზამთრში ახერხებს თავის სამშობლო ქალაქში დაბრუნებას. თუმცა ამ ახალგაზდობის მოქმედებას თითქმის მუდამ ერთი და იგივე მიმართულება და ასპარეზი აქვს, სახელდობრ თეატრი, მაგრამ ამისათვისაც ჩვენ, თელაველნი, მადლობელნი ვართ მისი.

მაგრამ ამ ვიწრო ასპარეზზედაც, წინა წლებთან შედარებით, წელს როგორღაც უფრო ნაკლები ენერგია და ხალისი გამოიჩინა ამ ახალგაზდობამ. ამ ახალგაზდობისაგან მდგომარე ზამთრულს იყო გამართული სულ ორი წარმოდგენა და ორივე ქველ-მოქმედების მიზნით. უკანასკნელი წარმოდგენის სრული წმინდა შემოსავალი გარდაეცა ერთს კურდღელაურში მცხოვრებ გლეხის ოჯახსა, რომელსაც ამ ზამთრულს კარზედ დადგმული ყანა და სახლ-კარი სრულიად გარდაეწვა...

მაგრამ, რაც ვერ ითავა ჩვენმა ახალგაზდობამ წელსა, ის შეასრულეს თბილისის სცენის მოყვარეებმა. იქნებოდა მარიამობის თვის ოცი, როცა თელავში ჩამოვიდნენ ქართულის თეატრის საუკეთესო წარმომადგენელნი: ვ. აბაშიძე, ბ. აბაშიძისა და ბ. მესხიევი. ამათი მოსვლა და წარმოდგენების გამართვა ერთი იყო. ნახევარ თვის განმავალობაში ამათ გამართეს ოთხი წარმოდგენა და მით თითქმის ყელამდის გავვამდეს ჩვენ, თელაველნი, ქართულის წარმოდგენებით. უკანასკნელის წარმოდგენის წმინდა შემოსავლის მეოთხედი (22 მანეთი) მოხსენებულთ პირთა შეჰსწირეს ი. ჳ. რ—შვილის ღარიბთა ქალთა სკოლას მის სასწავლო ოთახის მოსაწყობლათ. ამავე სკოლამ ჯერედ არ დაარსებულს, შარშანდელი წარმოდგენებიდგან შესწირეს შვიდი თუმანი. ამ სტრიქონების დამწერი ისწრაფის ახაროს შემწირველთა, რომ დღეს მათი დიდი-ხნის სურვილი— თელავში ღარიბთა ქალების სკოლის დაარსება—განხორციელებულია და ორმოც-და-ათ ქალამდის უკვე სარგებლობს წესიერის სწავლითა და მოძღვრებითა.

## რუსეთი

— გაზ. «მზოს» გაუგონია, რომ სათემო (ВОЛОСТЬ) ბიბლიოთეკების დაწესებას აპირებენო და ამის შესახებ პროექტიც წარუდგინეს ხალხთა განათლების სამინისტროსაო.

— ამავე გაზეთის სიტყვით, პეტერბურგში წესდება საქალო უმაღლესი მედიცინური სასწავლებელი, რომელიც უნდა აშენდეს და ინახებოდეს კერძო საშუალებით, მაგრამ შემდეგში, თუ გარემოება მოითხოვს და რიგიანად წავა საქმე ამ სასწავლებელში, მმართებლობა იშუამდგომლებს, რომ მასაც მიეცეს ნივთიერი შემწეობა იმ წესით, რა წესითაც ეძ

ლეეათ უმაღლესთ საქალო კურსთა ხალხთა განათლების სამინისტროსგან და ეძლეოდათ საქალო საექიმო კურსთა სამხედრო სამინისტროსაგან. ამასთანავე, ამბობს იგივე გაზეთი, სასარგებლოდ დაინახეს ქალებისგან სააფთიექო ნაწილის შესწავლაც და ამისათვის ეს საქმეც გადასცეს მედიცინურს რჩევას განსასჯელად.

— ტყეთა დეპარტამენტში აღუძრავთ კითხვა იმაზედ, რომ 1879 წელს დადგენილი ტყის ტაქსები შეიცვალოსო. ამბობენ, რომ ტყეს დიდს ფასებს დაადებენო.

— იწერებიან, რომ შაქარი უფრო გაძვირებულა. ამის მიზეზად ის მოჰყავთ, რომ ზოგიერთა სპეკულიანტებს გაუვრცელებიათ ხმები, ვითომც ერთს ბირჟის ვიღაცა დიდს ბობოლას შეესყიდოს რაც რამ შაქარი იყო, მაგრამ ეს მტკნარი სიცრუეა, რადგანაც ბირჟისაევხმები ამტკიცებენ, რომ მართალია, გაიყიდა შაქარი, მაგრამ გაყიდული რაოდენიმე ათასს ფუთს არ აღემატებაო. რასაკვირველია, ამ გვარი ხმების გავრცელება სპეკულიანტების ხრიკია, რომელსაც იმიტომ ხმარობენ, რომ შაქარი ძვირად გაყიდონ. უკანასკნელს აზრს ისიც ამტკიცებს, რომ ბირჟისავე ცნობებით, იმოდენი ჭარხალი მოსულა, რომ ახალი შაქრის ქარხნების გაღებასაც ჰფიქრობენო, მაშასადამე შაქარი ბლომად უნდა იყოსო.

— გაზ. «რუსკი კურიერს» გაუგონია, რომ ნასწავლი ბებიების ინსტიტუტი გაიხსნებაო და ამ ინსტიტუტში კურს-შესრულებულებს პრაქტიკის უფლება მიენიჭებათო, მაგრამ სახელმწიფო სამკურნალო ნაწილის სამსახურში შესვლის უფლება კი არ ექნებათო.

— ამავე გაზეთის სიტყვით, რაოდენსამე სოფლელ მამულის მეპატრონეთ განუზრახავთ სთხოვონ შინაურ საქმეთა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროთ ნება-რთვა მწერთა მცოდნე პირების (ენთომოლოგების) ხალხთა შორებრივის კონგრესის მოხდენისა 1884 წელს.

## უცხოეთი

უცხო ქვეყნელს გაზეთებს ეხლა დღის ვარმად აქვსთ მეფე ალფონსის შეურაცხება, რომელზედაც წარსულ №№-ში ჩვენც დაწვრილებითა გვქონდა მოყვანილი ცნობები. რომ უკეთ გავაცნოთ ჩვენი მკითხველები იმ შთაბეჭდილებას, რომელიც ამ პოლიტიკურმა მოვლენამ მოახდინა ევროპაში, გამოვარკვევთ მოკლედ უცხო ქვეყნების გაზეთებისგან გამოთქმულს აზრს ამ საგნის შესახებ.

მაგრამ ვიდრემდის ამას შევუდგებოდეთ, საჭიროდ ვრაცხთ რამდენიმე სიტყვით გამოვხატოთ ის გარემოებანი, რომელნიც წინა უძღოდენ მეფე ალფონსის შეურაცხებას.

მკითხველებს ეხსომებათ, რომ მეფე ალფონსი, ვიდრემდის გერმანიაში წავიდოდა, საფრანგეთში მისვლა მოიწადინა, მაგრამ საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა გრევიმ არ მიიღო ის და ამისათვის იძულებული შეიქნა პირველად გერმანიისკენ გამგზავრებულიყო. იქ, რასაკვირველია, ისე ღირსეულად დახვდენ, როგორც შეჰფერის მეფეს და, სხვათა შორის, გერმანიის მოხუცმა იმპერატორმა დანიშნა ის ულანის პოლკის შეფად; ეს პოლკი სტრასბურგში იმყოფება, იმ სტასბურგში, რომელიც 1870—71 წ. ომში პრუსიელებმა წაართვეს ფრანცუზებს.

რესპუბლიკურს საფრანგეთს ჯერ ისედაც არაფრად ეჭაშნიკება საზოგადოდ მეფეები და, რაღა თქმა უნდა, რომ ფრანცუზებს არ შეეძლოთ კარგად მიჰგებებოდენ იმ მეფის სტუმრებას, რომელიც მათმა დაუძინარმა მტერმა, მათმა დამღუპველმა სახელმწიფომ ისეთის ამბით მიიღო და იმ პოლკის შეფად დანიშნა, რომელმაც არა ერთი წვეთი სისხლი დაღვარა ფრანცუზებისა წარსულს ომში.

აი ეს გახლავთ მიზეზი ისეთის შეურაცხებისა, რომელიც ფრანცუზებმა ესპანიის მბრძანებელს მიაყენეს.

ახლა მივუბრუნდეთ იმას, თუ რა შეხედულება აქვთ ევროპიელთ ამ შემთხვევაზე.

წინად მადრიდიდამ მოსული ცნობები გვარწმუნებდენ, რომ ესპანიის ხალხი ჯერ ძლიერ აღელვა ამ შემთხვევამ და შემდეგ, როდესაც რესპუბლიკის პრეზიდენტმა გრევიმ მთელი საფრანგეთის მაგივრად ბოდიში მოიხადა ალფონსის წინაშე, ხალხი დაწყნარდა და აღარც ის მანიფესტაციები მოახდინა, რომელთაც საფრანგეთს უმზადებდაო; მაგრამ, როგორც უკანასკნელ ხანებში მოსული ცნობებიდგან ვტყობილობთ, ხალხი ჯერაც არ დამშვიდებულა და საფრანგეთისადმი უკმაყოფილება უფრო ძლიერდება.

ხალხის მღელვარებას მადრიდის გაზეთებმაც ბანი მისცეს და ერთ ხმივ გაიძახიან, რომ საფრანგეთის მმართებლობის ბრალია ის შეურაცხება, რომელიც პარიჟელებმა ესპანიის მეფეს მიაყენესო; საფრანგეთის მპართებლობა დამნაშავეა არამცთუ მარტო ესპანიის ხალხის წინაშე, რომლის გრძნობა, პატიოსნება და ღირსებაც შეგინებულ-იქმნა მისის მეფის შეურაცხებითა, არამედ მთელი განათლებულის ქვეყნის წინაშეცაო. ზოგიერთა გაზეთები უფრო გაბოროტებულნი არიან საფრანგეთის მთავრობაზე იმ გულ-გრილობისათვის, რომელიც მან გამოიჩინა ამ მანიფესტაციის შესახებ და ამტკიცებენ, რომ ეს შეურაცხება მეფე ალფონსის შეურაცხება კი არა, საფრანგეთის ღირსების შეურაცხება იყოვო.

თვით ესპანიის მინისტრებსაც არ ასვენებენ მადრიდელი გაზეთები და შეურაცხების მიზეზად მათაც ხდიან, რადგანაც არ დაუშალეს მეფეს გერმანიაში წასვლა; ისინი აცხადებენ, რომ მინისტრები პასუხს აგებენ კორტესების წინაშე, რომელნიც არაოდეს არ დასთმობენ ესპანიის შეურაცხებასაო.

მადრიდის ლიბერალური გაზეთებიც ძალიან ჰკიცხავენ საფრანგეთს და სწერენ, რომ ჩვენ გვეგონა, ცოტა რამ ზრდილობა და სტუმრის მოყვარეობის გრძნობა ექნებოდათ პარიჟელს ანარხისტებსა და ამისათვის იმედი გვქონდა, რომ ეს გრძნობა მაინც არ მოაქმედებინებდა მათ ამ უგვანს საქციელსაო.

მადრიდიდამ მოსული ამბებიდგან, სხვათა შორის, იმასაც ვტყობილობთ, რომ იქაურს მუნიციპალურს რჩევას გადაუწყვეტია გამოუცხადოს მეფეს თვისი გულის-წყრომა, რომელიც საფრანგეთმა ესპანიის შეურაცხებით გამოიწვია. ეს შემთხვევაც, თუ მართალია, ცხადად გვიხატავს იმ უკმაყოფილებას, რომელსაც ესპანიელები გრძნობენ საფრანგეთისადმი.

მარტო კასტელიარის ორგანი-ღა ამშვიდებს ხალხს და ამტკიცებს, რომ ესპანიის საფრანგეთთან მტრული დამოკიდებულება სარგებლობას მოუტანს მხოლოდ გერმანიას, რომელმაც ასე ოსტატურად ჩათესა ღვარძლი ორთა მოძმე ლათინთა ხალხთ შუაო.

ესპანიის ხალხზე ნაკლებ არც ბერლინში თურმე არიან გაცხარებულნი ფრანცუზებზე და მათს მმართებლობაზე.

იქაური ოფიციოზური გაზეთები, რასაკვირველია, შემთხვევას არ დაჰკარგავდენ, რომ ცოტაც არის არ წაეკრათ საფრანგეთისათვის.—«ფრანცუზები იმ გვარად იქცევიან, რომ ლამის მთელი ქვეყანა მოიძულონ»,— გასძახიან ისინი,—«იმათ ის არ იკმარეს, რომ შეურაცხჰყვეს შვეიცარია, გადაიმტერეს იტალია და მის ხელმწიფის თავის მოყვარეობას შეეხნენ და ახლა თავის სამხრეთის მეზობლებსაც უნერგავენ თვისადმი მტრობას და სიძულვარეს. ნემეცებისთვის ამ გვარი მანიფესტაციები სასარგებლონიც არიან».

საზოგადოდ პრუსიის მწერლობა წრეს გადასულა საფრანგეთის ლანძღვაში და ისეთი საძაგელი სახელი აღარ მოიპოვება, რომელიც მას არ ეწოდებინოს საფრანგეთისათვის. ზოგიერთა გაზეთები იქამდინაც მივიდნენ, რომ საქვეყნოდ ღაღადებენ: «განა შესაძლებელიღაა, იქონიოს ვინმე კავშირი იმისთანა სახელმწიფოსთან, რომელშიაც ამისთანა საძაგლობა ხდება და მმართებლობა იქამდინ სუსტია, რომ ვერა გაუწყვიარა და ხმა ვერ ამოუღია»?

ვენაშიაც სწორედ ისეთივე აზრი აქვსთ შედგენილი ალფონსის გაუპატიურებაზე, როგორიც ბერლინში. მხოლოდ იქ იმას კი ამბობენ, რომ ეს შემთხვევა იმოდენად ავსტრიის წინააღმდეგ არ იყო მიმართული, რამდენათაც გერმანიის წინააღმდეგ, რომელსაც, რასაკვირველია, უფრო უნდა სწყენოდა. ზოგიერთა ვენური გაზეთები ურჩევენ საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს დაითხოვოს თავის მინისტრები, რომელნიც ასე გაუბედავნი და სუსტნი ყოფილან.

ახლა ვნახოთ თვით ფრანცუზები რაღას ჰფიქრობენ ამ საქმეზე?

პარიჟში საზოგადო აზრია, რომ ეს დემონსტრაცია უცებ არ მომხდარა და მარტო უბრალო, ქუჩის მაწანწალა, უსაქმურ ხალხს არ მოუხდენია; პარიჟელების აზრით შეურიგებელთა გაზეთებმა წინადვე მოამზადეს, წააქეზეს ხალხი ამ დემონსტრაციისათვის; ჯერ მეფე ისევ გერმანიაში იყო, როდესაც ეს გაზეთები ბეჭდავდენ თავიანთ ფურცლებზე მის ლანძღვა-გინებასა და ამგვარად წინადვე აღელვებდენ ხალხს მის წინააღმდეგ. ამიტომაც ფრანცუზები არა მალვენ, რომ ალფონსის ამ გვარი მიღება წინადვე მოფიქრებული, წინადვე განზრახული და მომზადებული იყო.

მაგრამ პრეზიდენტს გრევის ძალიან აქებენ ბოდიშის მოხდისათვის და ამტკიცებენ, რომ გრევის ამ გვარმა საქციელმა მოსპო საფრანგეთისა და ესპანიას შუა ყოველივე უკმაყოფილება და უცხო სახელმწიფონიც დარწმუნდებიან, რომ საფრანგეთს არავითარი შეუფერებელი საქციელი არ მიუძღვის ამ საქმეში, პირველად თვით მანვე განკიცხა პარიჟელების მოქმედება და ამით შეასრულა ის მოვალეობა, რომელიც კისრად ედვა, როგორც განათლებულს ქვეყანასაო. ამას მიხვდა თვით მეფე ალფონსიც და საქვეყნოდ გამოაცხადა, რომ საფრანგეთი მის შეურაცხების საქმეში არაფერს შუაშიაო.

ზოგიერთა რესპუბლიკური ჟურნალ-გაზეთები კი სრულიად სხვა კილოზე ლაპარაკობენ. იმათ თითქო ვერ შეუგნიათ—რა შეურაცხება მიაყენეს ესპანიის მეფესა და თითქო ჰფიქრობენ, რომ თვით ალფონსია დამნაშავე ამ საქმეში და იმან უნდა დააკმაყოფილოს საფრანგეთიო, პირველად იმისათვის, რომ ის ჰამბურგში მივიდაო და მეორეთაც იმიტომ, რომ იმან იმპერატორი ვილჰელმისგან საპატიო ტიტული მიიღოვო. თუ ამით არა, სხვაფრივ არაფრით არ შეიძლება აიხსნას ის კილო, რომელზედაც ისინი ლაპარაკობენ. აი, მაგალითებრ, ერთი ჟურნალი, სხვათა შორის, რასა სწერს: «ესპანიის მონარხიის ეხლანდელი შინაური მდგომარეობა ძალიან კრიტიკულია. ის მოვალეა შინ ლიბერალური იყოს და თუ საფრანგეთის მეგობრობა არა ჰსურს, გარეშე საქმეებში მაინც ნემეცების წინააღმდეგს პოლიტიკას უნდა მისდიოს. ჩვენის აზრით მხოლოდ ამ საშუალებით შეუძლიანთ ბურბონებს ესპანიის ტახტზე ჯდომა. საფრანგეთის რესპუბლიკელები, დაინახვენ თუ არა, რომ ალფონს XII-ის მმართებლობა იქამდინ განემეცდა, რომ საფრანგეთის მტრების მხარე დაიჭირა, მაშინათვე ესპანიის რესპუბლიკელებს მიემხრობიან».

დასასრულს, არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ისაც, რომ რაც საფრანგეთში მესამე რესპუბლიკა არსებობს, იქ არც ერთი ევროპის ხელმწიფე არა ყოფილა და მეფე ალფონსის იქ მისვლა პირველი მაგალითია.

# ანგარიში

სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის მაზრის სამღვდელოებას თანახმად წესდებათა სას. სასწ. § 24, მ. 10 აგვისტოდამ 1882 წ. ვიდრე 1 სექტემბრამდე 1883 წ-სა.

## შემოსავალი:

| გვარი ბლაღოჩინთა, რომელთაც შემოიტანეს ფული: | კომლთა რიცხვი მან. | კაპ. | კვირგვინა კებისა მან. | კაპ. | ეკლესიებისა მან. | კაპ. | რომელი წ. ანგარიშში | დრო ფულის შემოტანისა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1) დეკანოზი მაჭავარიანი — — — — — | 200 / 100 | ,, | ,, | ,, | ,, | ,, | 1882 / 1883 | 10 მაისს 1883 წ. |
| 2) დეკანოზი სისორდია — — — — — | 220 | ,, | 10 | 80 | 43 | ,, | 1882 | 27 მაისს 1883 წ. |
| იმავე დარჩენილი 1880 წლიდამ მარტვილში სახლის შეკეთებისა — — — — — | 33 | 60 | ,, | ,, | ,, | ,, | 1880 | 10 სექტემბ. 1882 წ. |
| 3) ბლაღოჩ. მღვდელი პალავანდარიშვილი — — | 208 / 68 | 55 / ,, | 15 / ,, | ,, / ,, | 25 / ,, | ,, / ,, | 1882 / 1883 | 9 ნოემბერს, 1882, 10 მარტს და 28 აგვისტ. 1883 წ-სა. |
| 4) ,, ,, გოშუა — — — — | 293 | ,, | ,, | ,, | ,, | ,, | 1882 | 20 ნოემბ. 16 დეკემ. 1882 წ. 11 იანვარს 1883 წ. |
| 5) ,, ,, ჩხენკელი — — — | 95 | ,, | ,, | ,, | ,, | ,, | 1882 | 13 დეკემბ. 1882 წ. |
| 6) დეკანოზი მეუნარგია — — — — | 659 | 10 | ,, | ,, | 30 | ,, | 1882 | 15 იანვარს 1882 წ. |
| 7) ბლაღოჩინი მღვდელი ხუხუნი — — — | 240 | 95 | ,, | ,, | 20 | ,, | 1882 | 15 დეკ. 1882 და 17 მარტს 1883 წ. |
| 8) ,, ,, ქავთარაძე — — — | 203 | 40 | ,, | ,, | 11 | ,, | 1882 | 18 დეკ. 1882 წ. 10 მარტს 1883 წ. |
| 9) ,, ,, ბერიძე — — — | 425 | 10 | ,, | ,, | 35 | ,, | 1882 | 15 დეკ. 1882 წ. 15 იანვ. 1883 წ. |
| 10) ,, ,, ალშიბაია — — — | 400 | ,, | ,, | ,, | 26 | ,, | 1882 | 16 დეკემ. 1882 წ. |
| 11) ,, ,, მლიავა — — — — | 70 / 100 | ,, / ,, | ,, / ,, | ,, / ,, | ,, / ,, | ,, / ,, | 1881 / 1882 | 26 ოქტომბ., 23 დეკ. 1882 წ. |
| 12) ,, ,, ანჯაფარიძე — — — | 379 | 35 | 15 | ,, | ,, | ,, | 1882 | 23 დეკ. 1882 წ. 17 თებერ. 1883 წ. |
| 13) ,, ,, მერსამია — — — | 128 | 80 | ,, | ,, | ,, | ,, | 1882 | 20 აგვის. 1883 წ. |
| 14) ,, ,, ქარანაძე — — — | 416 | ,, | ,, | ,, | ,, | ,, | 1882 | 10 მაისს, 20 აგვისტოს 1882 წ. |
| 15) მარტვილის კრება — — — — — | 56 | 10 | ,, | ,, | ,, | ,, | 1881 / 1882 | 15 მარტს 1883 წ. |
| კერძო ჯამი | 4296 | 95 | 40 | 80 | 201 | ,, | სრულიად | 4538 მ. 75 კ. |

## გასავალი

იქმნა დახარჯული აგვისტოში 1882 წლისა თანახმად წინა წლის სმეტისა ჯამაგირად:

| | მან. | კ. |
|---|---|---|
| 1) მასწავლებელს პირველ დაწყებითი მოსამზადებელი კლასისისა — | 42 | 87 |
| 2) მასწავლებელს ქართული ენისა ყველა კლასებში — — — — | 38 | 33 |
| 3) მასვე შვიდი გაკვეთილის ფასი რუსულ ენისა უმცროს განყოფილებაში მოსამზადებელი კლასისა — — — — — — | 11 | 43 |
| 4) მასწავლებელს რუსული ენისა უფროსს განყოფილებაში მოსამზადებელი კლასისა შვიდ გაკვეთილში — — — — — | 11 | 43 |
| 5) მასწავლებელს სამღრთო ისტორიისა უმცროს და უფროს განყოფილებისა მოსამზადებელ კლასისა — — — — — | 10 | ,, |
| 6) არითმეტიკის მასწავლებელს იმავე განყოფილებებში — — — | 13 | 33 |
| 7) ყურის მგდებელს (надзирателю) მოწაფეთა — — — — | 35 | ,, |
| 8) წევრთ სამმართველოისა სამღვდელოების მხრივ — — — — | 12 | 49 |
| 9) მწერალს, მოსამსახურეებს და წვრილმანი საკანცელარიო ხარჯი — | 27 | 33 |
| $18^{82}/_{83}$ წლის განმავლობაში თანახმად სმეტისა მე XVI კრებისაგან შედგენილისა. | | |
| 1) მასწავლებელს დაწყებითი კლასისისა თვეში 43 მ. 50 კ. — — | 532 | ,, |
| იმასვე საყურისმგდებლო მოწაფეებზე თვეში 5 მ. 11 კ. — | 56 | 21 |
| 2) მასწავლებელს ქართული ენისა ყველა კლასებში თვეში 48 მ. 33 კ. | 579 | 96 |
| იმასვე საყურისმგდებლო თვეში 5 მ. 11 კ. — — — | 56 | 21 |
| 3) მასწავლებელს რუსული ენისა უმცროსს და უფროს განყოფილებაში მოსამზადებელი კლასისისა — — — — — — | 219 | 96 |
| იმასვე საყურისმგდებლო — — — — — — — | 56 | 21 |
| 4) მასწავლებელს არითმეტიკისა იმავე მოსამზადებელის კლასების განყოფილებაში — — — — — — — — — | 159 | 96 |
| იმასვე საყურისმგდებლო — — — — — — — | 56 | 21 |
| 5) მასწავლებელს სამღრთო ისტორიისა იმავე მოსამზადებელ კლასებში | 120 | ,, |
| იმასვე საყურისმგდებლო — — — — — — — | 56 | 21 |
| 6) საყურისმგდებლო მასწავლებელს ლათინური ენისა — — — | 56 | 21 |
| 7) საყურისმგდებლო ბერძნული ენის მასწავლებელს — — — | 56 | 21 |
| 8) ცალკე ყურის მგდებელს თვეში 35 მან. — — — — — | 420 | ,, |
| 9) წევრთ სამმართველოსი სამღვდელოების მხრივ — — — — | 100 | ,, |
| 10) მწერალს, წვრილმანი ხარჯი კანცელარიაზე და ჯამაგირი მოსამსახურეთა — — — — — — — — — — | 327 | 97 |
| 11) ოცი ქსაყენი შეშა საყენი 12 მან. — — — — — — | 240 | ,, |
| 12) ქირა სასწავლებლის სახლისა — — — — — — | 400 | ,, |
| 13) ქირა ზედამხედველის სახლისთვის 1-ს იანვრამდე 50 მან., ხოლო პირველ იანვრიდამ პირველ სექტემბრამდინ 139 მ. 98 კ., სრულიად — — — — — — — — — — | 189 | 28 |
| 14) ქირა ზედამხედველის თანაშემწის სახლისა — — — — | 150 | ,, |
| 15) ექიმს სასწავლებლისას — — — — — — — — | 200 | ,, |
| 16) ფერშალს სასწავლებლისას (გარდა იმისა, რომელიც შაგირდების სწავლის ფულიდამ ეძლევა) — — — — — — — | 40 | ,, |
| 17) ნახევარი ფასი წამლისა, რომელიც დაიხარჯა მოწაფეებზე (მეორე ნახევარი ეძლევა საერო წოდების მოწაფეთა ფულიდამ) — — | 100 | ,, |
| 18) შემწეობა 11 ობოლ მოწაფეთა თითოს ოცი მანეთი — — | 220 | ,, |
| 19) არხიტექტორს კლანის მიღების პლანის და სმეტის შედგენაში ბრძანებისამებრ ყოვლად სამღვდელო იმერეთისისა — — — — | 100 | ,, |
| 20) წევრთ რევიზიის კომიტეტისა თანახმად ბრძანებისა იმერეთის ყოვლად უსამღვდელოესისა — — — — — — — | 30 | ,, |
| 21) დაბეჭდა წარსული წლის შემოსავალ-გასავლის ანგარიშისა «დროებაში» და ცალკე ფურცლებად — — — — — — | 17 | ,, |
| ჯამი | 4741 | 81 |
| ამ ჯამს უნდა მიემატოს ჯამი იმ ფულისა, რომელიც დახარჯა სასწავლებელმა 1882 წ. იანვრიდამ ვიდრე იმავე წლის აგვისტომდინ, რადგან, როგორც წინად წარდგენილს ანგარიშში არის გამოცხადებული ხარჯი იგი კმაყოფილდებოდა სასწავლებლის საკუთარი წყაროდან, რადგანაც, 1882 წლის ფულმა დაიწყო შემოსვლა მხოლოდ სექტემბრიდამ, როგორც სჩანს ამ ანგარიშის შემოსავლის ნაწილიდგან — — — | 2681 | 60 |
| სრულიად | 7423 | 41 |

ამ ჯამიდამ რომ გამოირიცხოს ჯამი შემოსავლისა (7423 მ. 41 კ.—4538 მ. 75 კ.) მივიღებთ 2884 მ. 66 კ., რომელიც შეადგენს ვალს სამღვდელოებისას ამა 1 სექტემბრამდე 1883 წლისა.

(1—1)

Дозв. цензур Тифлисъ, 3 Октября 1883 г. ექ. ხელაძის სტამბა. (Типографія Е. Хеладзе.) გამომცემელი ბ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.